სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, 2023 წ

წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო ს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N07-01/49

ციფრული ობიექტების იდენტიფიკატორების (DOI) და მეტამონაცემების რეესტრში - Crossref ბსუ-ს გაწევრიანებისა და საწევროს გადასახადის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ (,,ჰორიზონტ ევროპის“ საგრანტო ოფისის კოორდინატორის) 2023 წლის 30 აგვისტოს N1051945 სამსახურებრივი ბარათის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის N07-02/11 ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანდეს ციფრული ობიექტების იდენტიფიკატორების (DOI) და მეტამონაცემების რეესტრში - **Crossref** (პროფესიული და სამეცნიერო მასალებისა და შინაარსის განთავსებისათვის) <u>და გადახდილი იქნეს საწევრო გადასახადი,</u> ინვოისისა და კანონმდებლობის შესაბამისად (მიმდინარე წლისათვის - ბსუ-ში ,,ჰორიზონტ ევროპის“ საგრანტო ოფისის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის შესაბამისად, ხოლო მომდევნო წლებში - სამეცნიერო კვლევების სამსახურის სამსახურებრივი ბარათის მიხედვით).
2. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და რექტორის მოადგილემ (ა. ბერიძე) ორგანიზება/კოორდინირება გაუწიონ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებას.
3. გადაწყვეტილება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეს, ფაკულტეტებს, ბსუ-ში ,,ჰორიზონტ ევროპის“ საგრანტო ოფისის კოორდინატორს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**